საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება №71

თბილისი „06“ 03 2013 წ.

2013 წელს აბიტურიენტთა მიღების მიზნით საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სსიპ –განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში სპეციალური ანკეტა-კითხვარის წარდგენისა და სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამოწმებული ანკეტა-კითხვარის სსიპ – გამოცდების ეროვნულ ცენტრში წარდგენის ვადის განსაზღვრის შესახებ

,,ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების“ მე-40 მუხლის 1^1 პუნქტის საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2013 წლის 5 მარტის №80291 წერილის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2013 წელს აბიტურიენტთა მიღების მიზნით საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ანკეტა-კითხვარის წარდგენის ვადად განისაზღვროს პერიოდი 2013 წლის 7 მარტიდან 12 მარტის ჩათვლით.
2. სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამოწმებული ანკეტა-კითხვარი სსიპ – გამოცდების ეროვნულ ცენტრში წარდგენილ იქნეს ეტაპობრივად არაუგვიანეს 2013 წლის 15 მარტისა.

3. დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

გიორგი მარგველაშვილი

შემსრულებელი:
სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის სამართალშემოქმედების სამმართველოს მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი

_____ /ქეთევან კუკავა/

შეთანხმებულია:
სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის სამართალშემოქმედების სამმართველოს უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელთან

_____ /ლანა ხუნაშვილი/

უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უმაღლესი განათლების განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელთან

_____ /მინდია ოკუჯავა/

უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უმაღლესი განათლების განვითარების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელთან

_____ /ნუგზარ ჩიტაია/

ბრძანება გაეგზავნოს:

1. სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტს.
2. საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს.
3. უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტს.
4. სსიპ – გამოცდების ეროვნულ ცენტრს.
5. სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.